საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ელისაშვილი ვლადიმერ ილიას ძე

ელისაშვილი ვლადიმერ ილიას ძე (დ. 29. V. 1944, ოლოვიანაია, ჩიტას ოლქი, რუსეთი), ბიოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1996). 1970 დაამთავრა ლენინგრადის სახელმწ. უნ-ტის ბიოლოგიის ფაკ-ტი. 1983–89 მუშაობდა ს. დურმიშიძის სახ. ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინ-ტში უფროს მეცნ. თანამშრომლად. 1989-იდან ამავე ინ-ტის მცენარეული სუბსტრატების ბიოკონვერსიის ლაბორ. ხელმძღვანელია. ე-ის კვლევის ძირითადი მიმართულებაა: უმაღლესი ბაზიდიომიცეტების ფიზიოლოგია, ბიოქიმია, ბიოტექნოლოგია; ლიგნოცელულაზური ფერმენტების ბიოსინთეზი; ბიოლოგიურად აქტ. ნაერთების წარმოქმნა მცენარეული ნედლეულის ბიოკონვერსიის გზით; იაფი კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების შემუშავება.

ი. ჯაფარიძე